



21.03.2013

"მწვანე ალტერნატივა" ჟონეთის ხიდის დემონტაჟისა და ნამახვანჰესის შესახებ

ახალი ამბები



შეუერთდი განხილვას



"მწვანე ალტერნატივა" მდინარე რიონზე სოფლების მამაწმინდასა და ჟონეთთან მშენებარე ხიდის დემონტაჟისა და ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე სოფლების მამაწმინდასა და ჟონეთთან მშენებარე ხიდის დემონტაჟთან დაკავშირებით მედიაში განცხადებები გააკეთეს საჯარო უწყებების წარმომადგენლებმა და პოლიტიკოსებმა. იმერეთის გუბერნატორმა ვახტანგ ბალავაძემ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა სალარეიშვილმა საპროტესტო აქციაში მიიღეს მონაწილეობა და მმართველი პოლიტიკური გუნდი დიდი ჰესების მშენებლობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში დაადანაშაულეს, რასაც მათი განმარტებით, ხიდის

ეწირებოდა. პარლამენტის წევრმა აკაკი ბობოხიძემ კი განაცხადა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ხიდის მშენებლობის შეჩერებით მამაწმინდისა და ჟონეთის მოსახლეობა გაწირა.

ნავთობისა და გაზის კორპორაციის განმარტებით, 2012 წლის ზაფხულში ნავთობისა და გაზის კორპორაციის შვილობილმა კომპანიამ სს „ნამახვან ჰესების კასკადმა“, ნამახვანის ჰესის მშენებლობის ფარგლებში, მდინარე რიონზე ორი ხიდის მშენებლობა - სოფელ ტვიშსა და სოფელ ჟონეთში უკანონოდ, სამშენებლო ნებართვის გარეშე დაიწყო. ხიდის მშენებლობის მიზანს ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება წარმოადგენდა. კორპორაციის ინფორმაციით, „გადაწყვეტილება აღნიშნული ხიდების მშენებლობის შესახებ მიღებულ იქნა იმის მიუხედავად, რომ იმ დროისთვის არ არსებობდა და არც დღეს არსებობს ნამახვანის ჰესის მშენებლობის სრულყოფილი პროექტი და არსებული შესწავლები ეყრდნობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროს ჩატარებული საველე კვლევების შედეგებს, რომლებიც დღეისთვის არ შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ“ .

"ჩვენ მივესალმებით, ნავთობისა და გაზის კორპორაციის პოზიციას, რომლის თანახმად, უნდა მოხდეს სრულყოფილი კვლევების ჩატარება, სათანადო საინჟინრო-საპროექტო სამუშაოების განხორციელება, მისაღები გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასების მომზადება და საჯარო განხილვების ჩატარება; კორპორაციის განმარტებით, სხვა შემთხვევაში, ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის გაგრძელება უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იქნება, რამაც შესაძლოა გამოუსწორებელი ეკოლოგიური და სოციალური ზიანი მიაყენოს ქვეყანას," - ვკითხულობთ ორგანიზაციის განცხადებაში.


გარემოსდამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ნავთობისა და გაზის კორპორაციის ეს პოზიცია შეესაბამება "მწვანე ალტერნატივას" პოზიციას. "საქმე ისაა, რომ ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის (ამ დრომდე შემოთავაზებული ფორმით) განხორციელების შემთხვევაში, ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდებოდა დაახლოებით 924.4 ჰა ფართობის ტერიტორია, აქედან 300 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, 261.44 ჰა კი, ტყე, ასევე უნიკალური ტვიშის ვენახები და დაგეგმილი ხვამლის დაცული ტერიტორია. პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოექცეოდა რეგიონის 14 სოფელი, ხოლო გადასახლებას დაექვემდებარებოდა 213 ოჯახი (790 ადამიანი). ამდენად, საქართველოს წინა ხელისუფლების გეგმების გათვალისწინებით, ძალზე ცინიკურია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა „ზრუნვა“ დასატბორად მათ მიერვე განწირულ სოფლებზე."

ორგანიზაცია მოითხოვს, რომ შესაბამისმა უწყებებმა სათანადოდ გამოიკვლიონ და

მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები:

- ხიდების მშენებლობის კანონიერებისა და მშენებლობის პროცესში გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფაქტებზე;
- ადგილობრივ მოსახლეობასთან ნამახვანის ჰესების პროექტისთვის საკუთრების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებების დადების კანონიერების ფაქტებზე, სადაც შესაძლებელია იკვეთებოდეს საჯარო მოხელეთა მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებისა და ბოროტად გამოყენების საკითხები.

"ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს საქართველოში ჰიდროენერგეტიკული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების სფეროში არსებულ სისტემურ პრობლემებს. ნათელია, რომ წინასწარი ტექნიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური კვლევების და სრულფასოვანი საზოგადოებრივი კონსულტაციების გარეშე დაწყებული პროექტი ძალზე ადვილად შეიძლება გახდეს როგორც პოლიტიკური პროვოკაციების, ისე სოციალური კონფლიქტის წყარო," - განმარტავენ ორგანიზაციაში.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment



Nikoloz Malakmadze

gaugebaria

Reply · Like · Follow Post · 13 hours ago

Facebook social plugin

